



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გალობა

გალობა, ვოკალური ხელოვნება (სასულიერო ხასიათის), მიმართული ღმერთის ან წმინდანებისადმი („გალობა არს ჴმა-ავაჴიანი, შეწყობით აღტევებული თჳნიერ ორღანოსა, გინა ორღანოთა და მწყობრითა“ (ს.-ს. ორბელიანი).

საქართველოში გ-ის ორი სახეობაა ცნობილი – საერო და სასულიერო. საერო შეიცავდა სალხინო სუფრისა და სხვა წესთან დაკავშირებულ საგალობლებს, სასულიერო – წმინდანების განდიდებასა და შესხმასთან დაკავშირებულ ჰიმნებსა და საგალობლებს.

ქართ. სას. საგალობლის ორი ტიპი არსებობს: კანონიკური და თვითავაჴიანი. კანონიკური გალობა 9 კანონისაგან შედგება. ესენია: უგალობდეთ, მოიხილეთ, განძლიერდა, უფალო მესმას, ღამითგან, ღაღადჴყავ, კურთხეულ არს, აკურთხევდით, ადიდებდეთ. გ-ის სახელწოდებებისათვის აღებულია იმ ბიბლიურ გ-თა საწყისი სიტყვები, რ-ებიც საფუძვლად დაედო კანონის გ-ებს. კანონის გ. აგებულია ძლისპირებისა და დასდებელთა თანამიმდევრობაზე, სადაც ძლისპირი არის რიტმულ-მელოდიური მოდელი მომდევნო დასდებლებისათვის.

თვითავაჴიან საგალობლებს ძლისპირები არ გააჩნიათ. მათ ასრულებენ ტექსტის თანხმლები ნევმური ნიშნების მიხედვით.

ლიტ.: ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., თხზულებათა კრებული, ტ. 3, თბ., 1965; ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , კალმასობა, ტ. 2, თბ., 1948; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ჴ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

